

ბავშვის უფლებები/ Children's Rights

მარიამ გინტური

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

არასრულწლოვანთა უფლება სამკვიდრო სამართალწარმოების პროცესში

DOI: 10.52340/erp.2024.05.47

აბსტრაქტი

არასრულწლოვანი პირი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი სუბიექტი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც ფსიქოლოგიური, აგრეთვე იურიდიული თვალსაზრისით, გააჩნია ყველა ის უფლება, რაც სრულწლოვან პირს სამკვიდროს მიღების პროცესში. სამემკვიდრო უფლებამოსილება, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია საკუთრების უფლებასთან, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა, რომლის დაცვის გარანტია საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო კონვენციებია. მიუხედავად კონსტიტუციითა და საერთაშორისო კონვენციებით აღნიშნული უფლების დაცვისა, არასრულწლოვნის მოუმწიფებელი ასაკისა და ქმედურანიანობის შეზღუდულად გამოყენების ფარგლებისა, ძნელია ითქვას მისი დაცვის აბსოლუტური გარანტიების შესახებ. მშობლები, რომლებიც წარმოადგენენ არასრულწლოვანს მესამე პირებთან ურთიერთობაში, აგრეთვე ნებისმიერი უფლების განხორციელების პროცესში მათ ნაცვლად იღებენ გადაწყვეტილებებს, რამდენად რელევანტურია მათი ამ უფლებამოსილების შეუზღუდავი მართვა ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. არსებობს კონკრეტული ბერკეტები, რითიც კანონმდებელი ცდილობს არ მიანიჭოს მშობელს სრული პასუხისმგებლობა, აბსოლუტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და შესაბამისად, ბოლო წლებში შეცვლილმა და დახვეწილმა ბავშვთა უფლებებზე მორგებულმა კანონმდებლობამ, ეს ყველაფერი უფრო ნათლად დაგვანახა.

ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდეგ, 2020 წლის 01 სექტემბრიდან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის საკითხებს და არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომ უფრო გამჭვირვალედ, დეტალურად გაწერილიყო მათ უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. არასრულწლოვანები საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვასა და ყურადღებას, რადგან მათი სამართლებრივი დაცვა სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. „ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის“ პირველი

მუხლი ადგენს, რომ ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი, სანამ 18 წლის ასაკს მიაღწევს. საინტერესოა, რა ხდება საკანონმდებლო თვალსაზრისით პირის სრულწლოვნობის მიღწევამდე, რა პროცედურების გავლაა საჭირო იურიდიული შედეგის დასადებად. რამდენად დიდია არასრულწლოვანის მონაწილეობის ფარგლები სამართალწარმოების პროცესში, რამდენად არის გათვალისწინებული მიუხედავად მისი ასაკისა, ბავშვის პოზიცია და სურვილი. სწორედ ამ საკითხებზე იქნება საუბარი აღნიშნულ ნაშრომში. სამკვიდრო სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანის მონაწილეობა, მისი უფლებების დიაპაზონი, მისი შესაბამისობა თანამედროვე საკანონმდებლო ცვლილებებთან და „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციასთან“ და სხვა საერთაშორისო მიდგომებთან. საინტერესოა, ქართველი კანონმდებლის ნებისა და სურვილის დადგენა არასრულწლოვნის უფლების განხორციელების პროცესში, განსაკუთრებით ისეთი მნიშვნელოვანი უფლებისა, როგორცაა მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლება. სამემკვიდრეო საქმისწარმოებაში, როდესაც არასრულწლოვანს მისი მშობელი წარმოადგენს, განხილული იქნება ის ხარვეზები და პრობლემები, რის წინაშეც დგებიან მხარეები, იქნება პრობლემის გადაჭრის გზებზე საუბარი და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა, რათა მაქსიმალურად მოხდეს არასრულწლოვნის მემკვიდრეობის უფლების დაცვა და შემდგომში მისი სრულფასოვანი გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანი, მემკვიდრეობა, სამართალწარმოება.

არასრულწლოვანი, როგორც გარიგების მონაწილე მხარე

სრულწლოვანია ყველა ის პირი, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა. არასრულწლოვან პირს აქვს უფლება გამოვიდეს გარიგების მონაწილე მხარედ კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. პირის სრულწლოვნობის, ანუ 18 წელს მიღწევის შემდგომ, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესები არ გვაქვს მხედველობაში, მხარე აბსოლუტურად დამოუკიდებლად ახერხებს წარმოადგინოს საკუთარი ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი იღებს სარგებელს. როგორც

კანონმდებლის ნებიდან ჩანს, არასრულწლოვანს არ ეზღუდება 18 წლის მიღწევამდე კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლა, თუმცა სავალდებულოა კონკრეტული წესების დაცვა, რათა მაქსიმალურად იქნეს თავიდან არიდებული მისი ასაკისა და უნარების შესაბამისად ზიანის მიყენების საფრთხე. აგრეთვე, „ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის“ პირველი მუხლი ადგენს, რომ „ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი, სანამ 18 წლის ასაკს მიაღწევს“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც მოერგო აღნიშნული კონვენციის ჩანაწერს და მოახდინა მისი ჰარმონიზაცია საერთაშორისო კანონმდებლობასთან. საერთაშორისო კანონმდებლობის ჰარმონიზაციამ აგრეთვე შემოიტანა ქართულ კანონმდებლობაში ტერმინი „ბავშვის საუკეთესო ინტერესი“. ყველა ძირითადი უფლება, რაც კი შეიძლება ბავშვთან ასოცირდებოდეს, უნდა გამომდინარეობდეს მისი საუკეთესო ინტერესის დაცვისკენ. ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციით განსაკუთრებული დაინტერესება 1989 წელს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მიღებამ განაპირობა. მას შემდეგ, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, ამგვარი ინტერესები პრიორიტეტის სახით გაითვალისწინონ ბავშვის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. თუმცა, დღესდღეობით, კონვენციის თითქმის ყველა სახელმწიფო დგას ბავშვის უფლებების სათანადო დაცვის უზრუნველყოფის გამოწვევის წინაშე, რის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის ეროვნულ დოზენე ეფექტიანად იმპლემენტაციის განუხორციელებლობა გვევლინება. თითოეული შემთხვევა, რომლებიც ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდეგ სასამართლომ განიხილა, განსხვავებული სპეციფიკით გამოირჩეოდა და ერთი შეხედვით, არ იძლეოდა თანაბარი პრინციპებით შეფასების საშუალებას, მაგრამ სასამართლომ გამოკვეთა ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განაცხადი, ხოლო ზოგ შემთხვევაში მოსამართლე ისმენს ბავშვის აზრს, თუკი მისი ასაკი და გონებრივი შესაძლებლობა ამგვარი საკითხების სწორად აღქმის საშუალებას იძლევა, რათა მაქსიმალურად იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესი დაცული, მისი, როგორც სამართალწარმოებაში მონაწილე პირის.

ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპის საფუძველზე გამომდინარეობს მისი უფლება გამოვიდეს კონკრეტულ სამართალწარმოებაში, დაიცვას საკუთარი უფლება,

გამოთქვას საკუთარი პოზიცია და ა.შ. იგი გარიგების მონაწილე მხარე ხდება არასრულწლოვნობის პერიოდშიც, კანონისმიერი წარმომადგენლის უშუალო მონაწილეობის ან მისი თანხმობის შემდგომ. აქაც, მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის ასაკი. მაგალითისთვის, სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის დაყრდნობით, თუ არასრულწლოვანი 16 წლამდე ასაკისაა, სავალდებულოა მისი კანონისმიერი წარმომადგენლის გარიგებაში მონაწილეობა, თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვნის მონაწილეობით გარიგება, რომელიც მოწმდება სანოტარო წესით (კერძო ან საჯარო აქტის ფორმით), შეიძლება დაიდოს არასრულწლოვანი პირის უშუალო (პირადი) მონაწილეობის გარეშე კანონისმიერი წარმომადგენლის მონაწილეობითა და არასრულწლოვანი პირის თანხმობის გამოთხოვით ან თანხმობის გამოთხოვის გარეშე.

როგორც მსჯელობის შედეგად აღმოჩნდა, არასრულწლოვანი გარიგებებში მონაწილე მხარეა, კონკრეტული საკანონმდებლო დათქმებითა და პირობებით, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული მისი ინტერესები, არ მოხდეს მისი უფლების შელახვა, იყოს ინფორმირებული და აქტიური მონაწილე მხარე სამართალწარმოების პროცესში და ასე, კვალდაკვალ, გაიწაფოს გზა მომავალი სრულყოფილი ცხოვრებისკენ, სადაც უკვე, როგორც სრულწლოვანი პირი შეძლებს საკუთარი უფლებებისა და ინტერესების სრულუფლებიან დაცვას.

არასრულწლოვნის მემკვიდროების უფლება

ბავშვები, ანუ 18 წლამდე მიულწეველი ასაკის პირები, შეადგენენ მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ერთ მესამედს, სახელმწიფოთა უმეტესობაში კი - ადგილობრივი მოსახლეობის თითქმის ნახევარს. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია დავუშვათ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინი ურთიერთქმედებენ უამრავ სხვადასხვა სფეროსთან, როგორც საზოგადოების წევრები, ოჯახის წევრები, აგრეთვე, როგორც სხვადასხვა მომსახურების მიმღებები, მომხმარებლები და ა.შ. შესაბამისად, საზოგადოების ეს ჯგუფი, დიდი ალბათობით, არსებით გავლენას მოახდენს სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებზე, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, სამართალი, ეკონომიკა, ბიზნესი და სხვა. მათ შორის სამართლებრივ ურთიერთობებში გამოსვლა და მემკვიდრეობის უფლების დაცვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11

მუხლის მიხედვით, ფიზიკური პირის უფლება-უნარიანობა, ანუ უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებანი და მოვალეობანი წარმოიშობა დაბადებისთანავე, ხოლო მემკვიდრედ ყოფნის უფლება – ჩასახვისთანავე, რომლის განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

არასრულწლოვანები, მიუხედავად შეზღუდული ქმედუნარიანობისა, არიან მემკვიდრეობის უფლების მქონე პირები და მათი უფლებების დაცვას, უპირველეს ყოვლისა, კანონიერი წარმომადგენლები ახორციელებენ. როგორც ცნობილია, პირველი რიგის მემკვიდრეები არიან: მეუღლე, შვილები და მშობლები, რომლებიც თანაბრად არიან უფლებამოსილი მემკვიდრეობის მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ადგენს ასაკობრივ შეზღუდვას მემკვიდრის უფლების თვალსაზრისით, კანონი იცავს არასრულწლოვანის უფლებებს, რადგან მას შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა სამკვიდროს მიღებისა და მართვის თვალსაზრისით. ამიტომ, კანონი ავალდებულებს კანონიერ წარმომადგენელს ან/და მეურვეს, დაიცვას არასრულწლოვანის ქონებრივი უფლებები და ამ მიზნით განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ყველა მოქმედება ზემოთ ნასახსენები ბავშვთა საუკეთესო ინტერესის დასაცავად და მისი მემკვიდრეობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით.

მემკვიდრეობის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე და მისი რეალიზება დაბადებაზეა დამოკიდებული. სამოქალაქო კოდექსი ორი სახის – ანდერძისმიერ და კანონისმიერ მემკვიდრეობას ითვალისწინებს. ორივე შემთხვევაში შეიძლება არასრულწლოვანი პირი მემკვიდრეობის უფლების მქონე სუბიექტი იყოს. ბავშვის ინტერესები კანონმდებლობით არის დაცული, ამიტომ ბავშვს, რომელმაც დაკარგა მშობელი, უფლება აქვს მიიღოს მემკვიდრეობა. მშობლის მემკვიდრედ ჩაითვლება, აგრეთვე, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა. არასრულწლოვანის უფლებაზე – იყოს მემკვიდრე, არანაირ გავლენას არ ახდენს ისეთი გარემოება, როდესაც მშობლების ქორწინება არ არის რეგისტრირებული, ანუ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მემკვიდრეობის უფლებაც გარანტირებული და დაცულია კანონით. სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი მამის მემკვიდრედ ჩაითვლება, თუ მამობა აღიარებულია

კანონით, რაც გულისხმობს ბავშვის დაბადების მოწმობაში მამის გრაფაში ჩანაწერის არსებობას ან არსებობს შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილება. უნდა აღნიშნოს ის გარემოებაც, რომ პირველი რიგის მემკვიდრედ არასრულწლოვანი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ ის ნაშვილებია

კანონმდებლობა მეტ-ნაკლებად ცდილობს დაიცვას არასრულწლოვანი შვილიშვილების ინტერესებიც, შესაძლებელია, ისინიც იყვნენ პირველი რიგის მემკვიდრეები, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის მათი მშობლები, რომლებიც მამკვიდრებლის მემკვიდრეები უნდა ყოფილიყვნენ, ცოცხლები აღარ არიან. შვილიშვილები თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც მათ გარდაცვლილ მშობელს მემკვიდრეობის დროს კანონით ერგებოდა. ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში მამკვიდრებელი წინასწარ განსაზღვრავს, ვის რა ქონება ერგება მისი გარდაცვალები შემდეგ. ანდერძის საფუძველზე მემკვიდრეები შეიძლება გახდნენ ის ბავშვები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, ასევე ისინიც, ვინც ჩაისახა მის სიცოცხლეში და დაიბადა მისი გარდაცვალების შემდეგ. პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც პაპა-ბებია ანდერძით უტოვებს ქონებას არასრულწლოვან შვილიშვილებს, რადგან პირველი რიგის მემკვიდრეების არსებობისას მათ მიერ სამკვიდროს მიღების შესაძლებლობა არ არსებობს, რადგან თუ პირველი რიგის მემკვიდრე ცოცხალია, მაშინ შვილიშვილი მემკვიდრეთა სიიდან იშლება და ერთმევა უფლება მემკვიდრეობის მიღების.

დასკვნა

არასრულწლოვნები საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვასა და ყურადღებას, რადგან მათი სამართლებრივი დაცვა სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ბავშვების ასაკისა და ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით, კანონმდებელმა განსაზღვრა შესაბამისი მიდგომებისა და პროგრამების შემუშავების ვალდებულება, რათა ყოველ ეტაპზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის

რეალურად საუკეთესო ინტერესები დაცული იყოს ობიექტური შეფასების კრიტერიუმებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ბავშვთა უფლებათა კოდექსის, ბავშვთა უფლებათა კონვენციის, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ბავშვს აქვს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება. ბავშვს უფლება აქვს, თავისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით დადოს გარიგება და ისარგებლოს საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ყველა ზემოთჩამოთვლილი პრინციპისა და მიდგომის გათვალისწინებით, არასრულწლოვნის მონაწილეობა სამკვიდრო საქმისწარმოების პროცესში უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი ეხმიანება მის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესი, ბავშვის უფლებების კომიტეტის თანახმად, იგი წარმოადგენს არა მხოლოდ ბავშვის უფლებას, არამედ პრინციპსაც, დანარჩენ სამ პრინციპთან ერთად (ეს სამი პრინციპია: ბავშვის მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 2), ბავშვის სიცოცხლის ხელშეუვალობის, შენარჩუნებისა და ჯანსაღი განვითარების უფლება (მუხლი 6), ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები და უფლება, იყოს მოსმენილი (მუხლი 12)). აგრეთვე, საუკეთესო ინტერესების კონვენციით უზრუნველყოფა გულისხმობს იმ ფაქტის აღიარებას, რომ, გარკვეულ შემთხვევებში, ბავშვის კონკრეტული უფლებები დაუპირისპირდება მშობლების ან მეურვეების და სახელმწიფოს უფლებებს, ინტერესებს და ვალდებულებებს. ამ სამი პრინციპის განხილვის პროცესში თვალნათლივია მისი უფლება, ჰქონდეს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, განვითარდეს ჯანსაღად, კანონისმიერი წარმომადგენლის დახმარებით დაეუფლოს მისი მამკვიდრებლის მიერ დანატოვარ დანაშთ ქონებას და თუ მისი წარმომადგენელი/მშობელი, მის წინააღმდეგ იმოქმედებს, კონვენციით გარანტირებული უფლების ფარგლებში მოითხოვოს მისი დაცვა.

ამ და მსგავს სიტუაციებში სავალდებულოა, ზემოთხსენებული არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესებზე მონაწილეობა, მათი პოზიციის დაფიქსირება, აგრეთვე, მშობლის ახსნა-განმარტება იქნა თუ არა მსგავსი უფლების განსხორციელების დროს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა. ცნობილია, რომ აიკრძალა მშობლის მხრიდან

არასრულწლოვანი შვილის ათას ლარზე მეტი ღირებულების ნებისმიერი აქტივის განკარგვა სასამართლო ნებართვის გარეშე. აუცილებელია ამ დროს კანონისმიერმა წარმომადგენელმა, მშობელმა, დაადასტუროს ის მთავარი მოტივი, თუ რატომ აპირებს შვილის ქონების განკარგვას. შესაბამისი ქმედებები ექცევა მსგავსი რეგულირების ფარგლებში სამემკვიდრეო საქმისწარმოების დროსაც, არასრულწლოვნის უარი მემკვიდრეობის მიღებაზე, ქონების განკარგვის ასპექტში და ამ დროს, ნოტარიუსის, როგორც პირველი და უმთავრესი რგოლი ამ პროცესისა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს, რამდენად ჯეროვნად და სწორად აუხსნის შეცვლილი კანონმდებლობის შინაარს, რამდენად ეფექტურად შეძლებს იყოს პირველი და ჯანსაღი რგოლი სამკვიდრო საქმისწარმოების პროცესში.

ბევრი მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხია არასრულწლოვნის სამემკვიდრეო საქმისწარმოების პროცესში, სადაც მნიშვნელოვანია როგორც ნოტარიუსის, როგორც აღნიშნული პროცესის მმართველის, ხოლო მას შემდეგ, სასამართლოს ნება, მაქსიმალურად დაუმორჩილოს პროცესი ბავშვთა უფლებათა კოდექსს და კონვენციებს და შეეცადოს ყველა იმ გამოწვევაზე, რომელსაც მთელი მსოფლიო ეხმიანება, დაიცვას ბავშვის საუკეთესო ინტერესი და არ დაუშვას მისი, მათ შორის არასრულწლოვნის ყველაზე ახლობელი ადამიანის, მშობლის მხრიდან მისი შეზღუდვა და არაკეთილსინდისიერი გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა (სატრენინგო მასალები), თავი I.ლიბერალიზმი, §1.ადამიანის უფლებათა არსი და მნიშვნელობა (თბილისი: თბილისის პროექტთა ბიურო, 2007), გვ. 12.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997. # 786.

ბავშვთა უფლებათა კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 27/09/2019.

General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1), UN Committee on the Right of the Child

United Nations Treaty Collection, Convention on the Rights of the Child,

https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=IV-11&chapter=4&clang=en

The right of minors in the process of inheritance proceedings

Abstract

A minor, who can be one of the most vulnerable subjects from a psychological as well as a legal point of view, has all the rights that an adult has in the process of receiving an inheritance. Inheritance, which is directly related to the right to property, It is one of the most important rights, the protection of which is guaranteed by the Constitution of Georgia and international conventions. Despite the protection of the said right by the constitution and international conventions, Due to the immature age of the minor and the scope of limited use of capacity, it is difficult to say about the absolute guarantees of his protection. Parents who represent the minor in relations with third parties, as well as make decisions on their behalf in the process of exercising any right, The extent to which their unrestricted control of this power is relevant raises many questions. There are specific levers, the legislator tries not to give the parent full responsibility, the ability to make an absolute decision, and accordingly, In recent years, the amended and refined legislation adapted to children's rights has shown us all this more clearly.

After the implementation of the Code of Children's Rights, from September 1, 2020, special attention was paid to the protection of the best interests of minors and a number of legislative changes were implemented, that the issues related to their rights should be spelled out more transparently, in detail.

Minors require special protection and attention, because their legal protection is the most important prerequisite for the development of the state and society. The first article of the "Convention on the Rights of the Child" establishes that every person is considered a child until he reaches the age of 18. It is interesting what happens from a legal point of view before a person reaches the age of majority, what procedures need to be passed to establish a legal result. How big is the scope of the minor's participation in the legal proceedings, how much is the child's position and desire taken into account regardless of his age. These issues will be discussed in this work. The participation of a minor in the process of inheritance proceedings, the range of his rights, his compliance with modern legal changes and the "Convention on the Rights of the Child" and other international approaches. It is interesting to determine the will and desire of the Georgian legislator in the process of implementing the right of a minor, especially such an important right as the right of inheritance and property. In inheritance proceedings, when a minor is represented by his parent, the shortcomings and problems faced by the parties will be discussed, ways to solve the problem will be discussed and appropriate recommendations will be made. in order to protect the minor's right to inheritance as much as possible and to make full use of it in the future.

Keywords: Minor, inheritance, legal proceedings.